ჰასან ბეი-ზადე აჰმედ ფაშას «ჰასან ბეი-ზადეს ისტორია»[1]

ნოდარ შენგელია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ 2004 წელს გამოსცა ჰასან ბეი ზადეს თხზულების სრული ტექსტი სამ ტომად, საკმაოდ ვრცელი გამოკვლევით. ნაშრომის გამომცემელია შევქი ნეზიჰი აიკუთი. წიგნი ეძღვნება ცნობილი ისტორიკოსის, ბექირ ქუთუქოღლუს ნათელ ხსოვნას. ნაშრომის პირველი ტომი განკუთვნილია მთლიანად ავტორისა და მისი ნაშრომებისადმი. მასში დაწვრილებითაა მიმოხილული ჰასან ბეი-ზადეს ბიოგრაფია. იგი ცნობილია როგორც რეის ულ-ქუთაბ ჰასან ბეის შვილი. იყო XVII საუკუნის ისტორიკოსი და გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე. იზრდებოდა სამეუფეო ჰარემში. აქვე მიიღო მან კარგი განათლება. მსახურობდა დივანის საქათიბოში. ამ თანამდებობიდან იგი მალე გადააყენეს. მის ადგილას ჰამზა ბეი დაინიშნა. სახელმწიფო დივანის, მუსტაფა ჩელების გარდაცვალების შემდეგ, 1584 წელს ამ თანამდებობაზე ჰასან ბეი-ზადე დაინიშნა.

ფერჰად ფაშას აღმოსავლეთის ლაშქრობაში სარდლად დანიშვნისას ჰასან ბეი-ზადე მის საქათიბოში მოღვაწეობდა. მას ებოძა ლაშქრის მეთაურობა – სეფერ რეისლიქი. ოსმან ფაშა აღმოსავლეთის ლაშქრობაში დაინიშნა, ჰასან ბეი-ზადეც მასთან იყო სამეუფეო თანამდებო-

---

Hasan Bey-zade Ahmed Paşa, Hasan Bey-zade Tarihi, Tahlil-Kaynak Tankidi, Cilt I, Hazırlayan Dr. Şevki Nezihi Aykut. Ankara, 2004.

ბაზე. შემდეგ იგი რეის ულ-ქუთაბად დაინიშნა. მალე კასტამონიის სანჯაყში მაღალი თანამდებობა ებოძა. იგი ერთხანს ბაშ თესქერეჯის თანამდებობაზე იყო. მალე ვეზირის თანამდებობაზე დაანინაურეს. ერთ-ერთი ვერსიით იგი ინიშნება კასტამონიის რეის ულ-ქუთაბად. ირიცხება ფადიშაჰის სამსახურში, პირველ ხანებში იგი სახელმწიფო დივანში მოღვაწეობს. ამ მოვლენების შესრულებასთან ერთად, მონაწილეობას იღებს აღრის ლაშქრობაშიც მეჰმედ III-სთან ერთად. აღრის აღების შემდეგ ქაფირები დახოცეს. შემდეგ იგი ვარათის ლაშქრობაშიც იღებდა მონაწილეობას. იქიდან ჩქარა დაბრუნდა ისტანბულში. ამის შემდეგ უივარის ლაშქრობაშიც მიიღო მონაწილეობა. იგი მალე დაინიშნა ბაშთესქერეჯის თანამდებობაზე.

ჰასან ბეი-ზადემ, კანიჟას ლაშქრობაშიც მიიღო მონაწილეობა. იმჯერად იგი რეის ულ-ქუთაბის თანამდებობას ფლობდა. ბელგრადის დაბრუნებასა და პეშტის გარემოცვაშიც იღებდა მონაწილეობას. იგი საგანგებოდ მოემზადა პეშტის გარემოცვისათვის. მალე ბაშ თესქერეჯი გახდა. ქვეყანაში შექმნილი არეულობის შემდეგ მან არაერთი ღონისძიება გაატარა. მალე იგი ბაშთესქერეჯის თანამდებობიდან გადააყენეს და სულთან აჰმედ I-მა სახელმწიფოს საკაიმაკამოს სათესქერიჯილიქოში დატოვა. მან იქვე დაიწყო მუშაობა. კითხულობდა თელხისებს. იყო სხვადასხვა თანამდებობაზე.

შემდეგ იგი მუშაობს სამეუფეო დავთრის ემინის საკაიმაკამოსა და დავთრის საემინოში. მალე დავთარ ემინად ინიშნება. მას ნიშნავენ აგრეთვე სულთნის ქონების დავთარდარად. შემდეგ გადაიყვანეს ანატოლიის დავთარდარად. 1609 წელს იგი თანმიმდევრულად იკავებს დუნაის, ყარამანიის, ალეპოს დავთარდარის თანამდებობებს. ასევე იყო კაფასა და ყარამანიის ბეგლარბეგიც. ჰასან ბეი-ზადე ასრულებდა ბაშ დავთარდარის თანამდებობასაც. ისევ ინიშნება მთავარ სადავთარდაროს უწყებაში. თან ახლდა სულთან მურად IV-ს. იგი გარდაიცვალა დაახლოებით 1636-1637 წლებში. მისი საფლავი უცნობია.

ნაშრომის მეორე თავში საუბარია ჰასან ბეი-ზადეს თხზულებებზე. განხილულია მისი ნაშრომების ხელნაწერები. იგი ორი ნაწილისაგან შედგება.

თხზულების პირველ ნაწილში ავტორი მიმართავს ალაჰს, ოსმალო სულთნებს, ფადიშაჰ მურად IV-ს, სახელმწიფოს ნარჩინებულებს, შეიხ ულ-ისლამს, ჰაზიფ აჰმედ ფაშას.

ნაშრომის ერთი ნაწილის თხრობა მოყვანილია სელიმ I-ის საქმიანობამდე. მისი ისტორიის გვირგვინი თელხისებია. ავტორი თელხისის სახით წარმოგვიდგენს თავის ისტორიას. წყაროს ორიგინალის თარიღი უცნობია. თარიღი არსად არ უზის. მისი თხზულება ცნობილია მხოლოდ ჰასან ბეი-ზადეს ისტორიის სახელით. ამბების თხრობა იწყება სულთან სულეიმან I-ის მოღვაწეობის დასაწყისიდან და გრძელდება მურად IV-ის მოღვაწეობის მიწურულამდე.

ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში საუბარია წყაროებზე, რომლებითაც სარგებლობდა ავტორი. მოყვანილია ამ წყაროებიდან ადგილები, რომლებიც ეხება ავტორის საქმიანობას, სარწმუნოებას, რელიგიურ მიმართულებებს. ლაშქრობების თაობაზე ავტორი გვიყვება ნაშრომის მომდევნო თავში.

ავტორი ფართოდ იყენებს სხვა წყაროების მონაცემებსაც.

თხზულების მესამე ნაწილი წარმოდგენილია ჟურნალების სახით. აქ ნაჩვენებია ჯავიდ ბაისუნის საქმიანობა. ამ ნაწილში ავტორმა ასევე წარმოადგინა ჰასან ბეი-ზადესა და მამამისის თხზულებათა ნაწილები, რომლებიც საინტერესოა აღნიშნული ეპოქის შესასწავლად. ამავე ნაწილში წარმოდგენილია ჰასან ბეი-ზადეს საქმიანობა, ვითარცა ისტორიკოსისა. ჰასან ბეი-ზადეს ისტორია ორნაწილიანი ნაშრომია. პირველ წიგნს ეწოდება „ისტორიათა გვირგვინი თელხისი". ავტორი წყაროებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. აშკარაა, რომ იგი წყაროებს უეჭველად უთითებდა. იყენებდა წყაროთა შემოკლების პრინციპსაც. იგი დიდ ყურადღებას უთმობს წყაროთა შერჩევის საქმეს.

ავტორი იყენებს სელიმ II-ისა და მურად III-ის ხანის მემატიანეებსაც. იგი კარგად იცნობს თავისი დროის, XVI-XVII საუკუნეების ისტორიკოს-მემატიანეებს. მოჰყავს ადგილები მათი თხზულებებიდან.

ძეგლის გამომცემელი ძალიან კრიტიკულია ჰასან ბეი-ზადეს წყაროებისადმი დამოკიდებულების საკითხში. გამომცემელს არაერთი მაგალითი მოჰყავს იმის თაობაზე, თუ რა სახესხვაობებთან

ჰქონდა ადგილი ამა თუ იმ სულთნის საქმიანობის გადმოცემისას. გამომცემელი აქვე იხილავს ჰასან ბეი-ზადეს ურთიერთობას სხვა ოსმალო ისტორიკოსებთან: კერძოდ, იბრაჰიმ ფეჩევისთან, ქათიბ ჩელებისთან, ნაიმასთან და სხვ. ბოლოს ავტორი გადმოგვცემს თანამედროვე ამბებს.

ნაშრომში ფართოდაა მსჯელობა ჰასან ბეი-ზადეს ენაზე, სტილზე, მის მიერ გარითმულ ადგილებზე. ანდაზებზე, გამოთქმებსა და ტერმინებზე. ნაშრომში მითითებულია ყველა ის არქივი, რომელშიც ინახება ჰასან ბეი-ზადეს თხზულებათა ნუსხები. ესენია: 1. თოფკაფის სასახლის ნუსხები. 2. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ნუსხები. 3. არქეოლოგიური მუზეუმის ნუსხა. 4. ორჰან ქოფრულუს ნუსხა. 5. თოფკაფის სასახლის ბაღდადის კოშკის ნუსხა.

შემდეგ ნაშრომში მოცემულია ჰასან ბეი-ზადეს ისტორიის წყაროები.

ავტორი ჰასან ბეი-ზადეს ისტორიის წყაროდ მიიჩნევს ქემალ ფაშა-ზადეს „ოსმალეთის ისტორიას", იმავე იბნ ქემალის ისტორიას. ავტორი იყენებს იბნ ქემალის მეათე ტომს. გამომცემელს შეჯერებული აქვს მთელი რიგი გვერდები, მონახული აქვს ბევრი საერთო ადგილები. შემდეგ ავტორი ჰასან ბეი-ზადეს თხზულებას ადარებს სხვა ისტორიკოსების ნაშრომებს, კერძოდ, მათრაქჩი ნასუჰის თხზულებას „სულეიმან ნამეს". იგი არკვევს, თუ რომელი ნუსხით სარგებლობდა ჰასან ბეი-ზადე, სულეიმან ნამეს რომელი ნუსხა უფრო ახლოა ჰასანის თხზულებასთან. გამომცემელი აქვე აკონტროლებს შემოკლებებსაც. აზუსტებს ისტორიის აღნაგობასა და სახელწოდებებს. ასევე ადარებს ნაშრომების სათაურებსაც.

შემდეგ ავტორი ჰასან ბეი-ზადეს თხზულებას ადარებს XVI საუკუნის მეორე ნახევრის ჯელალ-ზადე მუსტაფას თხზულებას. არკვევს, თუ რომელი ნუსხები აქვს გამოყენებული. შემდეგ ნაშრომი შედარებულია რამაზან-ზადე მეჰმედ ფაშას თხზულებასთან. ავტორი შედარებას იწყებს უძველესი დროიდან, რაც გრძელდება XVI საუკუნის 60-70-იან წლებამდე. დადგენილია, თუ რომელი წყაროთი სარგებლობდა, რომელი წყარო უფრო ახლო იდგა ავტორის თხზულებასთან. არის სხვაობები ნაშრომთა სათაურებშიც.

გამომცემელს გამოყენებული აქვს აგრეთვე მეჰმედ მეჯდის თხზულებაც. შედარებული აქვს მისი თხზულება ჰასან ბეი-ზადეს ნაშრომთან. ჰასან ბეი-ზადეს ისტორია შედარებულია ჰაჯე-ზადე მეჰმედ ეფენდის თხზულებასთანაც. ნაშრომში საუბარია აგრეთვე ჰასან ბეი-ზადეს თხზულების გავლენაზე სხვა მემატიანეთა თხზულებებზე, კერძოდ, ნევი-ზადე ათას თხზულებაზე. შემდეგ განხილულია იბრაჰიმ ფეჩევის ისტორია. ნაშრომში გარკვეულია, თუ რომელი ნუსხებით სარგებლობდა ავტორი. აქვეა ფიქსირებული წყაროთა სახელებიც. თავად ფეჩევიც იყენებდა ჰასან ბეი-ზადეს ისტორიას თავისი ნაშრომებისათვის. აქვეა ფეჩევის მიერ გაკეთებული შენიშვნებიც.

ჰასან ბეი-ზადე თავად იყენებდა ქათიბ ჩელების ფეზლექეს, აგრეთვე სოლაქ-ზადეს ჰემდემის „ისტორიას" და მუსტაფა ნაიმას თხზულებებს.

ნაშრომში განხილულია, აგრეთვე, ჰასან ბეი-ზადეს ისტორიის ნუსხების სახეობანი. ჩამოთვლილია ყველა ის ნუსხა, რომელიც საერთოდაა ცნობილი.

ბოლოს, წყაროს გამომცემელი საგანგებოდ განიხილავს ჰასან ბეი-ზადეს ბიოგრაფიულ ცნობებს. ამით თავდება ნაშრომის პირველი ტომი.

მეორე ტომში გადმოცემულია 1520-1595 წლების ოსმალეთის იმპერიის ისტორია.[1] თხრობა იწყება სულთან სულეიმან ხანის მოლვაწეობით, სულთნის ბელგრადში ლაშქრობით. შემდეგ საუბარია როდოსში ლაშქრობაზე. ავტორი გვიყვება იბრაჰიმ ფაშას საქმიანობაზე. დაწვრილებითაა საუბარი მდინარე სავას გადალახვაზე. აქვეა საუბარი ლეგენდებზეც. დაწვრილებითაა აღწერილი ვარადინთან და მოჰაჩთან გამართული ბრძოლები, ბუდინის ციხის დაპყრობა. ასევე საუბარია ლაშქრის გამგზავრებაზე პეშტის მიმართულებით და უკან დაბრუნებაზე. ასევე აღწერილია შაჰის მეოთხე ლაშქრობა. საუბარია შეჰზადეებზეც. აღწერილია მკვლელობა კაზიბის მულჰიდებისა. შემ-

---

Hasan Bey-zade Ahmed Paşa. Hasan Bey-zade Tarihi, Tahlil-Kaynak Tankidi, Metin (926-1003), (1520-1595). Cilt II. Hazırlayan Dr. Şevki Nezihi Aykut. Ankara, 2004.

დეგ მოთხრობილია სულთან სულეიმანის დაპყრობებზე. არც თათართა ხან ისლამ გირეისთან ბრძოლაა დავიწყებული. ავტორი გვიყვება სახელმწიფო შერიფის – ულემა ფაშას სიკვდილით დასჯის თაობაზე. საუბარია იეზდების დაპყრობის შესახებ. ასევე საგანგებოდაა წარმოდგენილი ლაშქრობა შამში, მოთხრობილია ესთერგონის დაპყრობასა და თამეშვარის დაკავებაზე. ავტორი აქვე განიხილავს ნახჩევანის საკითხს (გვ. 127-139). ავტორს არც სიგეთვარის დაპყრობის საკითხი გამორჩენია. შემდეგ მიმოხილული აქვს სულეიმანის დაპყრობები. აქვე მსჯელობა გაშლილია სულეიმანის მემკვიდრეთა დაპყრობებზე. ნაშრომში ჩამოთვლილია ყველა შეიხის სახელი, სახალიფოდან მოკიდებული, თავისი თანამედროვე ამბების გადმოცემამდე. საუბარია შაჰინშაჰ ჰალიმზე, კვიპროსის საკითხზე და ალი ფაშას სიკვდილით დასჯაზე, იემენის დაპყრობაზე, დიდვეზირის საქმიანობაზე, სასულთნოს ამბებზე ულემების დროს. ასევე საუბარია შეიხებზე. სულთან მურად ხანის – სულთან სელიმის მემკვიდრის ტახტზე ასვლაზე, დანვრილებითაა აღნერილი აღმოსავლეთში ლაშქრობის ამბები, ასევე აღნერილია შირვანში, ყარსსა და თბილისში ლაშქრობები. საუბარია სინან ფაშას და ფერჰად ფაშას შესახებ. აღნერილია ოსმან ფაშას გამგზავრება დედაქალაქში და იბრაჰიმ ფაშას ლაშქრობა ეგვიპტეში. ავტორი გვიყვება თავრიზის დაპყრობასა და დიდ ავიზის მთასთან მომხდარ ბრძოლაზე, ფერჰად ფაშას გამგზავრებაზე. მირმირანისა და დავთარდარის სიკვდილით დასჯაზე. აღნერილია მშენებლობანი ფადიშაჰის მოღვანეობის პერიოდში. განჯის დაპყრობა, სამშვიდობო მოლაპარაკებები. აღნერილია 1001 ნლის ამბები. საუბარია მანუკის ციხის დაპყრობაზე. სასულთნოში დიდვეზირის მდგომარეობაზე. სახალიფოში დიდ ულემათა მდგომარეობაზე.

ჰასან ბეი-ზადეს ისტორიის მესამე ტომი მოიცავს 1595-1635 ნლებს[1]. ნაშრომში თხრობა ინყება სულთან მეჰმედის ტახტზე ასვლით. საუბარია ეღრის მიმართულებით ლაშქრობაზე. ისლამის

Hasan Bey-zade Ahmed Paşa. Hasan Bey-zade Tarihi. Tahlil-Kaynak Tankidi. Metin ve İndeks (1003-1045/1595-1635). Cilt III. Hazırlayan Dr. Şevki Nezihi Aykut. Ankara, 2004.

ლაშქრის გამგზავრებაზე ქაფირების წინააღმდეგ. ნაშრომში ფართოდაა მსჯელობა ბალკანეთში ოსმალთა ლაშქრობებზე, შემდეგ კვლავ აღწერილია ღაზი გირეის ამბები. საუბარია უნგრეთში გალაშქრებაზე. აღწერილია კანიჟას ციხის დაპყრობის ისტორია. მოთხრობილია იბრაჰიმ ფაშას გარდაცვალებაზე. აღწერილია სარდალ ჰასან ფაშას ლაშქრობა ბელგრადზე და მისი უკან გაბრუნება ისტანბულისაკენ. ნაშრომში საუბარია ყარა ი̣აზიჯისა და დელი ჰასანის საქმიანობაზე, მათი თავდასხმის შესახებ სახელმწიფო დივანზე, სიფაჰიების განყვეტის თაობაზე. საუბარია შაჰ აბასის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე. გადმოცემულია ლალა მეჰმედ ფაშას ამბები და პეშტის ციხის დაპყრობა. ავტორი ეხება სასულთნოს დიდვეზირთა და დიდ ულემთა საქმიანობას, სულთან აჰმედის სასულთნო ტახტზე ასვლას, საუბარია მურად ფაშას გალაშქრებაზე ირანის წინააღმდეგ.

ავტორი დაწვრილებით იხილავს მეჰმედ ფაშას გადაყენებასა და მის ნაცვლად ჰალილ ფაშას დანიშვნას. სულთან აჰმედ ხანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდს, სულთნის შთამომავალთა და დიდვეზირთა მოღვაწეობას. დიდებულ ულემათა და წარჩინებული შეიხების ამბებს. ასევე დაწვრილებითაა საუბარი სულთან მუსტაფა ხანის ტახტზე ასვლაზე. ხოტინის ამბებზე. სულთან ოსმანის მკვლელობასა და სულთან მუსტაფა II-ის მიერ ტახტის დაკავებაზე. ასევე აღწერილია სარდალ ჯიგალ ოღლი მეჰმედ ფაშას გალაშქრება აბაზა ფაშას წინააღმდეგ, სულთან მურად ხანის ტახტზე ასვლა, ქემანქეშ ალი ფაშას სიკვდილით დასჯა და ჩერქეზ მეჰმედ ფაშას მის ადგილზე დანიშვნა; სარდალ დიდვეზირ ჩერქეზ მეჰმედ ფაშას ამბები. აქვეა მსჯელობა გიორგი სააკაძის შესახებაც. ამბავი ხუსრევ ფაშას არზრუმს (გვ. 1018) და მურთაზა ფაშას ყიზილბაშების წინააღმდეგ გალაშქრებაზე. საუბარია მურად სულთნის მიერ ერევნის დაპყრობაზე. აქვეა საუბარი საქართველოზეც. ამით თავდება ჰასან ბეი-ზადეს ისტორიის თხრობა.

წყარო ძალიან საინტერესოა. იგი პირველად ქვეყნდება. საქართველოს შესახებ მასში დაცული ცნობების ქართულად თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა კარგ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ.

HISTORY OF HASAN BEY ZADE BY HASAN BEY ZADE AHMED PASHA

Nodar Shengelia

SUMMARY

The Historical Society of Turkey has issued the full text of Hasan Bey-Zade's work in three volumes, with an extensive study, dealing in detail with his biography. He was a 17th century historian and distinguished statesman. The first volume deals with the author's life and scholarly activity. The second and third volumes contain the text of Hasan Bey-Zade's work. It is the first comprehensive edition of that author.